1 ნოემბერი

კვირა
2026

ყველაწმიდას დიდდღესასწაული,
დდ [ს], თ

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

ნეტარ არიან მშვიდნი მთ 5,5

ჩვენც ვივარჯიშებთ თავმდაბლობაში და მივიჩნევთ თავს პატარებად. პატარები ვართ მამა ღმერთის წინაშე, როგორც არათ-ვითკმარი შვილები. ასეთები დავრჩებით ყვე-ლას წინაშე, და იესო გაიხარებს, რადგან მისი სიტყვა არ იქნება ამაო! მუდმივი მაგალითი გვაქვს წმინდანების ცხოვრებაში, რომლე-ბიც დღეს სიხარულით გვავსებენ თავიანთი სიახლოვით.

2 ნოემბერი

ორშაბათი

2026

კვირადღე მოხსენიება ყველა მორწმუნე მიცვალებულისა, [ს], ი

წირვა 1, იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40

წირვა 2, ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46

წირვა 3, სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

მოდით, ძმა ჩემის კურთხეულნო. მთ 25,34

ეს არის ის საოცარი სიტყვა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი მოელის, რომ იესო ეტყვის ჩვენს საყვარელ გარდაცვლილებს. ამიტომ დღეს ვესწრებით წმიდა წირვას და სალოცავად მივალთ მათ საფლავებზე. ამას დიდი ნდობით გავაკეთებთ: ჩვენი ლოცვა არის იესოს ეკლესიის ლოცვა, რომელიც მამას გულგრილს ვერ დატოვებს.

3 ნოემბერი

სამშაბათი
2026

რიგითი XXXI კვირა [III]

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი წმ. მარტინ პორესელი, დომინიკელი ბერი, +1639 ლიმაში

ფილიპ 2,5-11; ფს 21; ლკ 14,15-24

(ან, მიცვალებულთა წირვის სხვა საკითხავები)

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება

ადამიანებმ თვალ, ესმ ქორწილი ფილ 2,8

ადამიანების თვალში იესო დამდაბლა, მაგრამ მის გულში და მამის თვალში, მისი მორჩილება და თანხმობა მომკვდარიყო ჩვენთვის, იყო სიყვარული, იყო თავმდაბლობა, არა დამცირება. მადლობა, იესო: ხარ სიყვარული ესოდენ სავსე, ესოდენ მოკრძალებული, სწორედ იმიტომ რომ ხარ ღმერთი. შენ მხოლოდ ხარ უფალი, მამისა და ჩემი დიდება და სიხარული!

4 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

ოთხშაბათი
2026

წმ. კარლო ბორომეო, კარდინალი,
მილანის ეპისკოპოსი, +1584, (მ), თ

ფილიპ 2,12-18; ფს 26; ლკ 14,25-33

მტკიცედ ინახავთ სიცოცხლის სიტყვას ფილიპ 2,16

"გააკეთეთ ყველაფერი წუწუნის გარეშე": ამას ემსახურება სიცოცხლის სიტყვის ხშირად მოსმენა. თუ ის მტკიცედაა გონებასა და გულში, ვიქნებით მოკრძალებულნი, იმ ღმერთის ნამდვილი შვილები, რომელიც სიყვარულია. ვიცხოვრებთ მამის სიტყვით, როგორც იცხოვრა იესომ. მოციქული პავლეს ეს მოწოდება არის ჩემთვის, შენთვის, ყველა ქრისტიანისთვის.

5 ნოემბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

ფილ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10

ვიპოვე იქმი ჩემი ლკ 15,6

იესო, ყველა წმინდანთან და გულმართა-
ლთან ერთად ხარობს როცა ვინმე, ვინც
მისგან დაშორებული იყო არასწორი გზებით,
მონანული უბრუნდება რომ დაჰყვეს მის სი-
ყვარულს და შეიყვაროს. მეც მინდა მივიღო
მონაწილეობა მის ამ სიხარულში, ჩავჭიდო
მას ხელი.

6 ნოემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

ფილიპ 3,17 - 4,1; ფს 121; ლკ 16,1-8

ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია ფილიპ 3,20

ჩვენი "მოქალაქეობა" არის მამის გულში. უკვე "ჩაწერილნი" ვართ იქ. იქ გვაქვს შეუ-ზღუდავი, საუკუნო ბინადრობის ნებართვა და მუდმივი საცხოვრებელი: ადგილი, რომელიც იესომ მოგვიმზადა. ეს მოქალაქეობა გუ-ლისხმობს ვალდებულებას, რომელიც არის ლამაზი უფლება: ვიყოთ, როგორც მამა, მო-წყალე სიყვარული. ამ უფლება-ვალდებულე-ბას ვახორციელებთ აქ, სანამ ჯერ კიდევ გზას ვადგავართ "საზღვარგარეთ", გზამკვლევად გვყავს იესო და მისი სული.

ფილიპ 4,10-19; ფს 111; ლკ 16,9-15

ყველაფერი ძალმიძს ქრისტეში, ვინცა ძალიერებს ფილიპ 4,13

წმიდა პავლე გვაძლევს გამბედაობისა და იმედის ლამაზ მაგალითს; ეს არის ამავე დროს მაგალითი მოკრძალებისა და სიყვარულისა თავისი საკრებულოსადმი. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული არის, რომ გადალახავს ყოველ სირთულეს უფლის დახმარებით, იღებს ფილიპეს საკრებულოს ქრისტიანებისგან ფინანსურ დახმარებას თავისი საჭიროებებისთვის, იცის და აუწყებს რომ ღმერთი გადაუხდის.

სიბრძნე 6,12-16; ფს 62; 1თეს 4,13-18; მთ 25,1-13

აჰა სიძე მთ 25,6

აჰა "ის დიდი წუთი": ასე რომ ველოდით, ნანატრი, რომელიც თითქმის აღარც კი გვეჯერებოდა! და მაინც იესო მოდის: ის ერთგულია. კიდევ კარგი რომ, თუნდაც ოდნავ "მძინარე", მეც ვიცავდი და მიყვარდა მისი სიტყვა, დარწმუნებული მის დანაპირებში.

9 ნოემბერი

ორშაბათი
2026

რომის საკათედრო ტაძრის, ლატერანის
ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

ეზეკ 47,1-2.8-9.12; ან, 1კორ 3,9c-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

ამ ტაძარს აღვადგენ იო 2,19

იესო საუბრობს თავისი სხეულის ტაძარზე, რომელიც შესწირა ჯვარზე სიყვარულით, შესწირა სიკვდილით, რათა ყველა გადაერჩინა. სამი დღის შემდეგ მიიღო ახალი სიცოცხლე. მადლობა, იესო: შენ მეხმარები მეც მოვკვდე შენი სიყვარულისთვის იმ მტკიცე იმედში, რომ დამიმკვიდრებ სამუდამოდ შენთან ცხოვრებას.

10 ნოემბერი

სამშაბათი
2026

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. ლეონ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +461, (მ), თ
(28.X) წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი, VIIს.

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10

ქან თჳი ძისკჳ ჩუენთჳის ტიტ 2,14

წმიდა პავლე გვიწვევს განვიხილოთ იესოს მაგალითი. ის, მიუხედავად იმისა რომ ღმერთია, მიიღო გამხდარიყო ადამიანი მარიამისა და იოსების ღარიბ ოჯახში. ასე გვიჩვენა საკუთარი ზრდით, თუ რას ნიშნავს სიცოცხლის მიცემა, შეწირვა ღმერთისთვის. ეს გააკეთა მშრომელი ცხოვრებით, მოკრძალებითა და სიმშვიდით, პასუხობდა ყოველ შეურაცხყოფას სიმშვიდითა და პატიებით, და მოკვდა მართალი უსამართლოთათვის!

11 ნოემბერი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ, ტურსის ეპისკოპოსი, +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900

ტიტ 3,1-7; ფს 22; ლკ 17,11-19

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 17,19

განიკურნა ათივე კეთროვანი, რომლებიც მოვიდნენ იესოსთან, მაგრამ მხოლოდ ერთს შეუძლია უთხრას ეს სიტყვები: ერთადერთს, რომელიც დაბრუნდა მადლობის სათქმელად. თავისი რწმენით იგი გადარჩა: განიცადა არა მხოლოდ განკურნება, არამედ იესოს შეხვედრისა და გაცნობის სიხარული!

12 ნოემბერი

ხუთშაბათი

2026

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. იოსაფატი, პოლოცკის ეპისკოპოსი, წამებული, +1623 ვიტებსკში, (მ), წ

ფილემ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

„მენი სიყვარული დიდი სიხარულია“ ფილემ 7

წმიდა პავლე წერს თავის მეგობარ ფილემონს, ხარობს იმ სიყვარულით, რომლითაც იგი ცხოვრობს მორწმუნეების მიმართ და მოკრძალებით სთხოვს მას კიდევ ერთი სიყვარულის საქმეს. ჩვენც ვუერთდებით პავლეს სიხარულს, როცა ვხედავთ სიყვარულს, რომელიც ხორციელდება ჩვენს სამრევლოებში ან საკრებულოებში, ღმერთის სადიდებლად.

13 ნოემბერი
პარასკევი
2026
რიგითი XXXII კვირა [IV], მწ
წმ. 100.000 წამებული, +1227

2იო 1.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

ვინცა რიცხა მოძღვრებაძი, ესა ჰყავს ესი ძაძა 2იო 9

ნამდვილად დიდი საოცრება არის მოციქულთა მოძღვრების უცვლელად მოღწევა ჩვენამდე! მრავალი საუკუნე, წმიდანთა გამოცდილება, მუხლჩაუხრელი თეოლოგიური კვლევები... მოძღვრება სულ უფრო ღრმად იქნა გაანალიზებული, ახსნილი, თუმცა დარჩა უცვლელი. ვინც მას მიიღებს სიმარტივით, ხდება ცოცხალი ღმერთის, მამის, ძის და წმიდა სულის საცხოვრებელი.

14 ნოემბერი

შაბათი
2026

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ

3იო 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

კაცის ძე პოვებს კი რწმენას დედამიწაზე? ლკ 18,8

იესო გვმოძღვრავს ყოველთვის გვქონდეს გული მიმართული მამისკენ, რომელიც ერთგულია ჩვენს სიყვარულში; ასე, მის სიყვარულის ხედვით, შევინარჩუნებთ რწმენას ბოლომდე. წმიდა პიო პიეტრელჩინელიც გვამხნევებს, ვივარჯიშოთ უფლის რწმენაში, როცა ვიხსენებთ მის ნათქვამს: "მეშინია არ დავკარგო რწმენა". ეს არის ნიჭი, რომელიც გვაერთებს მამასთან და ძესთან და გვაძლევს სიყვარულის სურვილს.

რიგითი XXXIII კვირადღე, «ა», [I], მწ

[წმ. ალბერტ დიდი, რეგენსბურგის ეპისკოპოსი, დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1280 კიოლნში]

იგავ 31,10-13.19-20.30-31; ფს 127; 1თეს 5,1-6; მთ 25,14-30

უპოვართა მსოფლიო დღე

შედი შენ ბატონის სიხარულში მთ 25,21

ტალანტების იგავით იესოს სურს მოგვამზადოს საბოლოო ანგარიშისთვის. ის, "ბატონი", მიანდობს ხუთ "ტალანტს" თავის ერთ-ერთ მსახურს. იგი დააბანდებს და მოიგებს დამატებით ხუთს. ანუ მოქმედებს თავისი ბატონისთვის "მცირედით", ანუ მატერიალური საგნებით, რომლებსაც იესო ყოველთვის მცირედად მიიჩნევდა. მაგრამ ამ მცირედისთვის, იესო მზადაა მისცეს მას "ბევრი", ანუ მსახურებანი და თანაზიარების ნიჭები თავის ეკლესიაში.

16 ნოემბერი

ორშაბათი
2026

რიგითი XXXIII კვირა [I]

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093 ედინბურგში;
წმ. გერტრუდა, ქალწული, მონაზონი, +1302 ჰელფტაში (გერმანია)

გამოცხ 1,1-5; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

მშვიდობა მისგან, ვინც არის, იყო და მოდის გამოცხ 1,4

მოციქული იოანე ლოცვისას იღებს გამოცხადებებს მთელი ეკლესიისთვის. იწყებს იესოს კურთხევით: "მადლი და მშვიდობა...". მას მოჰყვება ქება, შეგონებები და შესწორებები სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიებისთვის, სასარგებლო აგრეთვე ჩვენი ეპარქიებისა და სამრევლოებისათვის. ამას გავითვალისწინებ მეც.

17 ნოემბერი

სამშაბათი 2026

რიგითი XXXIII კვირა [I]

წმ. ელისაბედ უნგრელი, თიურინგიის ჰერცოგინია, მონაზონი, +1231 მარბურგში(გერმანია), (მ), თ
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი, ქრისტეს საფლავის მოღვაწენი

გამოცხ 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

წმ. ელისაბედის დების დღესასწაული

დღეს... მოვიდ სსნა ლკ 19,9

იესო იერიქონშია. ზაქეს, მებაჟეების უფროსს, სურს მისი ხილვა. იგი ჩიაა და ამიტომ ადის ლეღვის ხეზე იმ გზის პირას, რომელსაც იესო ადგას. ამბიციური და დამამცირებელი არჩევანი მისი რანგისათვის! იესო ხედავს მას, უხმობს სახელით, და თვითონ იპატიჟებს თავს მის სახლში. ფეხის შედგმისთანავე მასში შედის ასევე ღმერთის ხსნა.

18 ნოემბერი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა
ბაზილიკათა კურთხევა

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28

ჩემნ არს, ჩემნ არს, ჩემნ არს... გამოცხ 4,8

ეს სიტყვები მოისმინა წმიდა იოანემ ერთ-ერთ ზეციურ ხილვაში. ჩვენ მათ ვითავისებთ ყოველ ლიტურგიაში. გვეხმარება მოვემზადოთ ჩვენი საბოლოო მიზნისთვის: სამოთხისათვის. გალობაა რომ ალამაზებს და აბრწყინებს მორწმუნეთა ეკლესიებს, მადლის საოცარ ადგილებს, ისევე როგორც წმიდა პეტრესა და პავლეს ბაზილიკებს რომში!

19 ნოემბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

გამოცხ 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

გაიმარჯვა იუდას ლომ-ძა გამოცხ 5,5

შენ, იუდას ლომო, გაიმარჯვე შენი სიყვარულის ძალით. გახდი კრავი, "შეწირულ იქენი და გამოისყიდე ღმერთისთვის, შენი სისხლით, ადამიანები ყოველი ტომიდან, ენიდან, ხალხიდან და ერიდან". შენია, ქრისტე იესო, მთელი ჩვენი ნდობა, სმენა, შენთვის გვაქვს კარი გახსნილი და გეთაყვანებით. დიდება შენდა, ჩვენო იმედო, ნუგეშო, ნამდვილი მშვიდობის გზავ.

20 ნოემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

გამოცხ 10,8-11; ფს 118; ლკ 19,45-48

ჩემი სახლი იქნება ლოცვის სახლი ლკ 19,46

დღეს ამას მეც მეუბნები, იესო. სურვილი გაქვს ჩემი გული იყოს შენი საცხოვრებელი, იყოს ლოცვის ადგილი, მუდმივი სწრაფვა მამისკენ შენთან ერთობაში. მომშორდეს, მაშ, ყოველგვარი უსარგებლო, და მოდი შენ, სულო წმიდაო!

21 ნოემბერი

შაბათი

2026

რიგითი XXXIII კვირა [I]

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

გამოცხ 11,4-12; ფს 143; ლკ 20,27-40

ან, ზაქ 2, 14-17; ფს: 1მეფ; მთ 12,46-50

არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან ლკ 20,35

იესო "შეგვაჭვრეტინებს" სამოთხეში, მაგრამ მას ტოვებს დიდ საიდუმლოდ. გვეუბნება, რომ იქ ვიცხოვრებთ ახალ ურთიერთობებში, ახალ სიხარულში, ნამდვილ სისრულეში: ყველანი ვიქნებით გარშემორტყმულნი და აღვსილნი, გაერთიანებულნი, მაძღარნი მისი სიყვარულით. ამ სიყვარულის საწინდარი უკვე მიღებული გვაქვს.

22 ნოემბერი

კვირა
2026

რიგითი XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «ა», დდ, [ს], თ
[წმ. ცეცილია, ქალწული,
წამებული რომში +~250, (მ), წ]

ეზეკ 34,11-12.15-17; ფს 22; 1კორ 15,20-26.28; მთ 25,31-46

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნიმანი ვიყავი ⊾ ⊾ ⊾ მთ 25,35

როგორც სამყაროს მეფე, იესო განსჯის ყველა ადამიანს, როცა დაბრუნდება თავის დიდებაში სამყაროს ბოლოს. მასთან სა-მუდამოდ იქნებიან ისინი, ვინც მიიღო და ემსახურა მას. ის, მართლაც, თავს აიგივებს ყველასთან ვინც იტანჯება. სამყაროს ცოდვაა რომ თესავს ტანჯვას, მან კი აიღო ის თავის თავზე.

(10.XI) წმ. გიორგი წამებული , დ, [ს], ნ

წმ. კლემენტ I, პაპი და წამებული, +~97 რომში; / წმ.კოლუმბან, ლიუქსოილის აბატი (ზემო სონა) +615 ბობიოში (იტალია); / (10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

გიორგობა. უდეში „პირდაპირების"
სამლოცველოს დღეობა

აპა, ფესვნე ძდგარი ვრაგი გამოცხ 14,1

წმიდა იოანე მოციქული, ლოცვის დროს ხილვაში ხედავს ღმერთის კრავს, მდგომარეს იმათთან ერთად ვინც დარჩნენ მისი ერთგულნი, რომელმაც ისინი გადაარჩინა და წარმართა. მათ შორის ვიქნებით ჩვენც.

24 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

სამშაბათი 2026

წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუცესი და მისი მეგობრები, ვიეტნამში წამებულნი, 1625–1886წწ. (მ), წ

გამოცხ 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

ცოფრთხილით, არ ძოგაგყუონ ლკ 21,8

როგორ შემიძლია დაგემორჩილო, იესო? ესოდენ მცირედ ფრთხილი ვარ, მცირედ გონიერი... ვიქნები შენს მწყემსებთან, შენს ძმებთან ერთად: უფრო მეტად ვენდობი მათ ვიდრე საკუთარ თვალებს. მიხილავ თავმდაბალს, იესო, და არ დამკარგავ!

25 ნოემბერი

ოთხშაბათი

2026

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწული
და წამებული, +III-IV სს

გამოცხ 15,1-4; ფს 97; ლკ 21,12-19

გამოცხ 15,3

ეს არის წმიდანთა ზეციური გალობა. იესოში მტკიცედ მჯერა, რომ ერთ დღეს მეც შემიძლია მონაწილეობა მივიღო მასში. და ახლა? ახლა ვივარჯიშებ: ჩემს ყოველდღიურობაში შემოვუშვებ ქებასა და მოკრძალებულ და მოხარულ მადლიერებას!

26 ნოემბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 18,1-2.21-23; 19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

ბენედიქტელ დ. მარია დი ჯეზუს გახსენება (+2024)

ნეტარ ვართ ჩვენ, იესო! შენი სისხლის გაღებით მოიპოვე ყველასთვის ადგილი შენს საქორწილო ნადიმზე, შენი სიყვარულის საუკუნო დღესასწაულზე. ასეთი საოცარი და დიდი რეალობის წინაშე, თავს ასე პატარად ვგრძნობ... მხოლოდ შემიძლია მოგეკრა შენ, შენს წმიდა ეკლესიაში, და მატარო, დღითიდღე, შენს მხრებზე, იესო, ჩემო კეთილო მწყემსო!

27 ნოემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 20,1-4.11 - 21,2; ფს 83; ლკ 21,29-33

ჩემი სიტყვები არ გწაიღლის ლკ 21,33

ვუყურებ სამყაროს ასე არეულს და ვგრძნობ თავს მტრული მოვლენების თარეშში და შიში მიპყრობს. ვუყურებ და გისმენ შენ, იესო. შენი სიტყვები მაწყნარებს: ნებისმიერ სიტუაციაში ვარ შენს ხელთ. და შენ ხარ ზეცისა და დედამიწის უფალი, შენ გეკუთვნის საბოლოო სიტყვა სამყაროზე: სიტყვა, რომელიც მიცავს, მხელმძღვანელობს და იმედს მაძლევს, და შევყავარ სრულ და უსაზღვრო ერთობაში შენთან.

28 ნოემბერი

შაბათი

2026

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 22,1-7; ფს 94; ლკ 21,34-36

ქალაქში იდგება ღმერთის ტახტი *გამოცხ 22,3*

ეს არის ახალი იერუსალიმი: უკვე არა მიწიერი, არამედ ის, რომელიც ჩამოდის ზეციდან, ღმერთისგან. როგორც იწინასწარმეტყველა ეზეკიელმა, მოედანს გადაკვეთს მდინარე, და მასში არის ხე, რომელიც ისხამს ნაყოფს ყოველთვიურად და რომლის ფოთლები არის წამალი. სიცოცხლე და განკურნებაა ამ ქალაქში, სადაც არის ღმერთისა და კრავის ტახტი. ეკლესიაა, ეს ქალაქი: მასში იღებ შინაგან სიცოცხლეს და სიწმიდეს როცა მონაწილეობ სხვა მორწმუნეებთან ერთად ღმერთისა და კრავის თაყვანისცემაში!

ეს 63,16b-17.19b; 64,2-7; ფს 79; 1კორ 1,3-9; მარკ 13,33-37

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

იფხიზლეთ! მარ 13,37

დღეს შევდივართ ადვენტში, წმიდა დროში, რომელიც ეძღვნება იესოს მოლოდინის ვარჯიშს. "ფხიზლად იყავით"! ფიზიკური გარჯა ამ გრძელ საღამოებში სიფხიზლისათვის, კარგად ეხმიანება სულიერ გარჯას, რომ არ დაგვეძინოს სამყაროს სიბნელეში: ვიფხიზლებთ მღვიძარენი. მუდამ იესოს მოლოდინში: შეხვედრა მასთან არის ჩვენი ცხოვრების, მთელი ჩვენი შრომის მიზანი. მოდი, უფალო იესო!

30 ნოემბერი

ორშაბათი
2026

წმ. ანდრია, მოციქული , დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესომ ბინახა ორი ძმა მთ 4,18

იესო აკვირდება ყველაფერს სიყვარულით, უსმენს წმიდა სულს. დღეს ის ჰკარნახობს მას, მოუხმოს ორ ძმას, მეთევზეებს, სამუშაოდ რომ არიან, გაჰყვნენ მას. ისინი იღებენ ამ მოულოდნელ შეთავაზებას, რომელიც მთელ მათ ცხოვრებას მოითხოვს: ორი ძმა, ანდრია და პეტრე, დღესაც ჩაბმულნი ინარჩუნებენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების დობას.